საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და ფ.პ „ხათუნა ძაძამია"-ს შორის 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებულ N2018/38-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N2018/38-1

ქ. თბილისი 12.07 2018 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ფ.პ „ხათუნა ძაძამია" შემდგომში „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებულ N2018/38-ე ხელშეკრულების მე-11 მუხლის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

შეთანხმების საფუძველია:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (დოკუმენტი N3024-რს. მიღების თარიღი 05/07/2018. სარეგისტრაციო კოდი 010240010.05.001.018929) საქართველოს კანონის მეორე მუხლის შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (მიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მიმართულებით) გადაცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ (მიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებათა ფარგლებში.

აღნიშნული საფუძველის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 15 იანავრს გაფორმებულ N2018/38-ე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში მიმწოდებელთან შეთანხმებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

1) ხელშეკრულებაში შემსყიდველად განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

2) ხელშეკრულებაში მითითებული შემსყიდველის საბანკო რეკვიზიტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სახელმწიფო ხაზინა, კოდი; TRESGE22, საიდენტიფიკაციო კოდი: 204383176.

3) ხელშეკრულებაში მითიებული შემსყიდველის მისამართი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა N8.

4) ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ინსპექტირებას განახორციელებენ - შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ლომიძე,** შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელ პირთა განცხადების რეგისტრაციის და სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსის მოადგილე - **მარიამ სვანიძე,** შსს მიგრაციის დეპარტამენტის ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს თვაშესაფრის მაძიებელ პირთა განცხადების რეგისტრაციისა და სტატუსის დადგენის განუოფილების მთავრი სპეცილისტი - **ნატო კანდელაკი.**

5) ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.

6) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

7) წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს 2018 წლის 15 იანვარს გაფორმებულ N2018/38-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აქედან სამი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ფ.პ „ხათუნა ძაძამია“
შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი	თარჯიმანი
თია მელაძე	ხათუნა ძაძამია